საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის

ბრძანება № 188

12 03 2019 წ.

ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში სტაჟიორთა შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) 2019 წლის 28 თებერვლის №157 ბრძანებით შექმნილი ცენტრის სტაჟირების კომისიის 2019 წლის 05 მარტის №1 ოქმის გათვალისწინებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 10 ივნისის №67/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სისტემაში სტაჟირების გავლის წესის“ მე-8 მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-11 მუხლის პირველი და მეორე პუნქტების, ცენტრის დირექტორის 2019 წლის 20 თებერვლის №138/ი ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში სტაჟირების გავლის წესის“ მე-5 მუხლის, მე-6 მუხლის მე-7 პუნქტისა და მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ცენტრში სტაჟიორთა შერჩევის მიზნით გამოცხადდეს კონკურსი (შემდეგში - კონკურსი) 2019 წლის 15 მარტიდან 2019 წლის 24 მარტის ჩათვლით.
2. კონკურსი გამოცხადდეს 9 (ცხრა) ადგილზე ცენტრის შემდეგ სტრუქტურულ ერთეულებში:

ა) რეესტრის სამმართველო;

ბ) საქმისწარმოების სამმართველო;

გ) ადამიანური რესურსების სამმართველო;

დ) სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური;

ე) უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

3. სტაჟირების ხანგრძლივობა განისაზღვრება 1 (ერთი) თვიდან 12 (თორმეტი) თვემდე ვადით, სტაჟირების გავლის მსურველის სტაჟიორად დანიშვნის შესახებ ცენტრის დირექტორის ინდივიდუალურ - ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის შესაბამისად.

4. სტაჟირების გავლის მსურველის მიმართ დადგინდეს შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) იღებს ავტორიზებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში უმაღლეს/პროფესიულ განათლებას ან მიღებული აქვს ავტორიზებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში უმაღლესი/პროფესიული განათლება, შემდეგი მიმართულებებით:

- განათლების მეცნიერებები;
- ბიზნესის ადმინისტრირება;
- კომპიუტინგი/ინფორმატიკა;
- სამართალი;
- ფსიქოლოგია;
- საჯარო მმართველობა;
- ინგლისური ფილოლოგია;
- ისტორია.

ბ) ფლობდეს უცხო ენას (ინგლისური და/ან რუსული);

გ) ფლობდეს კომპიუტერულ (საოფისე) პროგრამებს (Ms. Word, Ms. Excel).

5. სტაჟირების გავლის მსურველს უნდა გააჩნდეს:

ა) მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა;

ბ) წერილობითი და ვერბალური კომუნიკაციის უნარი;

გ) დეტალებზე ორიენტაციის უნარი;

დ) ანალიტიკური აზროვნების უნარი;

ე) გუნდური მუშაობის უნარი.

6. განისაზღვროს შემდეგი საკონკურსო თემატიკა:

- საქართველოს კონსტიტუცია;
- „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის რეორგანიზაციის გზით საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის № 89/ნ ბრძანება.

7. კონკურსი ჩატარდეს ორ ეტაპად:

ა) განცხადების გადარჩევა;

ბ) გასაუბრება.

8. განისაზღვროს სტაჟირების გავლის მსურველის მიერ შესასრულებელი სამუშაო:

ა) სტაჟირების ხელმძღვანელის ცალკეული დავალებებისა და მითითებების შესრულება;

ბ) შესაბამისის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის დავალებით თანამშრომლების მიერ თავიანთი სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში დახმარების გაწევა.

9. საკონკურსო განაცხადების განხილვა და საკონკურსო კომისიის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება მოხდეს სტაჟირების გავლის მსურველთა მიერ განაცხადის შემოტანის დასრულებიდან არაუგვიანეს 2 თვისა.

10. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების სამმართველოს ვებგვერდის - www.hr.gov.ge მეშვეობით კონკურსის გამოცხადების უზრუნველყოფა;

11. კონკურსში მონაწილე სტაჟირების გავლის მსურველებმა, ვებგვერდის, www.hr.gov.ge - ს მეშვეობით, ჩემი რეზიუმეს შესაბამის ველში უნდა ატვირთონ:

ა) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი - დიპლომი ან ცნობა საგანმანათლებლო დაწესებულებიდან, რითაც დასტურდება სწავლის ფაქტი;

ბ) მინიმუმ ერთი რეკომენდატორის სახელი, გვარი და საკონტაქტო ინფორმაცია.

12. დაევალოს ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საორგანიზაციო სამმართველოს ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე www.eqe.ge ინფორმაციის განთავსების უზრუნველყოფა.

13. დაევალოს საქმისწარმოების სამმართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების, მათ შორის, ამ ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის გაცნობის უზრუნველყოფა.
14. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, 12 კმ., №6) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

დირექტორი

გიორგი ვაშაკიძე